



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გეომორფოლოგია

გეომორფოლოგია (ბერძნ. *gē* - დედამიწა, *morphē* - ფორმა და *logos*-სიტყვა, მოძღვრება), მეცნიერება დედამიწის ზედაპირის კონტინენტური ნაწილისა და მსოფლიო ოკეანის ფსკერის რელიეფის შესახებ.

შეისწავლის რელიეფის გარეგან სახეს, მის წარმოშობას, ასაკს, განვითარების ისტორიას, თანამედროვე დინამიკას, ცალკეული ფორმების შეხამებისა და გავრცელების კანონზომიერებებს. რელიეფი, როგორც გეოგრ. გარემოს ერთ-ერთი კომპონენტი, მოქმედებს ბუნებრივი კომპლექსის სხვა კომპონენტებზე და თვითონაც განიცდის მათ გავლენას, ამიტომ გ-ს მჭიდრო კავშირი აქვს დედამიწის ქერქის, ატმოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ბიოსფეროს შემსწავლელ მეცნიერებებთან. არჩევენ ზოგად, კერძო, რეგიონულ, პლანეტურ და გამოყენებით გეომორფოლოგიას, რ-თაგან თითოეული შეისწავლის დედამიწის ზედაპირის რელიეფს გარკვეული თვალსაზრისით. გ. როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება შეიქმნა XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში. ტერმ. „გეომორფია“ პირველად (1893) იხმარა უ. დაუსონმა. რუს. ლიტ-რაში სახელწ. „გ.“ შეიტანა ვ. ლასკარევი (1914). თავიდან ჩამოყალიბდა ორი გეომორფოლოგიური სკოლა – ამერიკის (უ. დევისი) და ევროპის (ფ. რიხტჰოფენი, ა. და ვ. პენკები). რუსეთში გ-ის ფუძემდებლები იყვნენ პ. სემიონოვ-ტიანშანსკი, დ. ანუჩინი, ვ. ობრუჩევი და სხვ. შემდგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. ბორზოვი, ი. შჩუკინმა, ა. გრიგორიევი, კ. მარკოვი, ი. გერასიმოვი, ქართვ. გეოგრაფებმა ა. ჯავახიშვილმა, ლ. მარუაშვილმა, დ. წერეთელმა და სხვ. საქართვ. რელიეფის პირველი საკმაოდ ვრცელი აღწერილობა მოცემულია ბატონიშვილი ვახუშტი/ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ (XVIII ს. I ნახ.). პირველი ცნობები საქართვ. გ-ის შესახებ გვხვდება კავკ. მკვლევრების ა. რეინგარდის, ი. შჩუკინის, ს. კუმნეცოვის და სხვათა შრომებში. საკუთრივ საქართვ. გეომორფოლოგიური გამოკვლევები დაიწყო XX ს.

20-იანი წლებიდან. 1926 ა. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა „საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1 – გეომორფოლოგია“. მანვე გამოსცა მონოგრაფია „საქართველოს სსრ გეომორფოლოგიური რაიონები, რელიეფის ტიპები და მათი გავრცელების რაიონები“ (1947; რუს. ენაზე). ნიგნში რელიეფის ფორმები და კომპლექსები გაშუქებულია გენეზისური პრინციპის საფუძველზე.

გეომორფოლ. კვლევა საგრძნობლად გაფართოვდა 1953-იდან, მას შემდეგ, რაც საქართვე. მეცნ. აკად. ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში შეიქმნა გ-ის (1980-იდან გეომორფ. და პალეოგეოგრაფიის) განყ-ბა. გეომორფოლ. გამოკვლევები აგრეთვე ტარდება თსუ-ში და საქართვე. სხვადასხვა უნ-ტებში. ქართვე. მეცნიერთა შრომები იბეჭდება სამეცნ. ჟურნალებში (მ. შ. ჟურნ. „Геоморфология“-ში) ან გამოდის ცალკე ნიგნებად. საქართვე. ტერიტ. რელიეფის კომპლ. შესწავლაში მონაწილეობდნენ ლ. მარუაშვილი, დ. წერეთელი, ნ. ასტახოვი, ზ. ტატაშიძე (ტინტილოზოვი) და სხვ. მოპოვებული მასალები შეჯამებულია კოლექტ. მონოგრაფიაში – „საქართველოს გეომორფოლოგია“ (1971). მონოგრაფიაში რეგიონულ პრობლემებთან ერთად გაშუქებულია ზოგადმორფოლ. საკითხები: რელიეფწარმოქმნელი ფაქტორები, რელიეფის ტიპებისა და ფორმების გენეზისი, სტრუქტურა და ნეოტექტონიკა, გეომორფოლ. დარაიონება. საქართვე. რელიეფის დახასიათებას ვხვდებით აგრეთვე ლ. მარუაშვილის სახელმძღვანელოებში: „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია“ (1964, 1969–70) და სამ ნაწილად გამოცემულ „კავკასიის ფიზიკურ გეოგრაფიაში“ (1975, 1982). რელიეფის საფუძვლიანი შესწავლით შესაძლებელი შეიქნა საქართვე. გეომორფოლ. დარაიონების სქემების შედგენა. გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი შრომები კავკასიონის მეოთხეული გამყინვარების შესახებ (ლ. მარუაშვილი, დ. წერეთელი, რ. ხაზარაძე). საყურადღებოა კავკასიაში გამყინვარების პერიოდის პალეოგეოგრაფიის შესახებ არსებულ წარმოდგენათა კრიტიკა (ლ. მარუაშვილი). საქართვე. პლეისტოცენი დეტალურად შეისწავლა დ. წერეთელმა. ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა ზღვიური და მდინარეული ტერასების შესწავლა რაოდენობის, მორფომეტრიული მონაცემების, ტიპოლოგიის, გენეზისის, ასაკის და კორელაციის საკითხების დასადგენად (დ. წერეთელი, გ. დევდარიანი, ს. ნემანიშვილი). ქართვე. გეომორფოლოგები იკვლევდნენ პრაქტ. მნიშვნელობის საკითხებსაც – თანამედროვე გეომორფოლ. პროცესებს (გ. ჩანგაშვილი, ე. და ჯ. წერეთლები). მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პალეოგეოგრ. საკითხების შესწავლისათვის (ლ. მარუაშვილი, ჭ. ჯანელიძე). გამოიცა ლ. მარუაშვილის ვრცელი პალეოგეოგრ. ლექსიკონი (1985; რუს. ენაზე). გამოქვეყნდა შრომები ნეოტექტონ. მოვლენების მონაწილეობაზე საქართვე. ცალკეული რეგიონების მორფოსტრუქტურების ჩამოყალიბებაში (ლ. კოლოშვილი, ნ. ასტახოვი). უკანასკნელ წლებში დიდი მუშაობა ტარდებოდა შავი ზღვის ნაპირების დასაცავად (საქართვე. ფარგლებში) ზღვის დამანგრეველი ბემოქმედებისაგან (ვ. ბენკოვიჩი, ა. კიკნაძე, თ. მელაძე, ვ. საყვარელიძე, შ. ჯაოშვილი, ჭ. ჯანელიძე და სხვ.). წარმატებებია მოპოვებული კარსტმცოდნეობაში, განსაკუთრებით კი – მღვიმეთმცოდნეობაში, რაც განაპირობა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრ. ინ-ტში სპელეოლოგიის ლაბორატორიის შექმნამ. შესაძლებელი გახდა უცნობი მღვიმეების,

კარსტული უფსკრულებისა და რთული მინისქვეშა ჰიდროგრ. ქსლის გამოვლინება და კომპლ. შესწავლა. გამოიცა მონოგრაფია საქართვე. მღვიმეების შესახებ (ზ. ტინტილოზოვი). გამოქვეყნდა ორიგინ. სახელმძღვანელო „მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები“ (ლ. მარუაშვილი, 1973). მღვიმეების შესწავლაში ნვლილი მიუძღვით აგრეთვე შ. ყიფიანს, თ. კიკნაძეს და სხვ. (იხ. აგრეთვე სტ. პპსპელეოლოგია).

ლიტ.: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა., საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1 – გეომორფოლოგია (ატლასით), ტფ., 1926; მ ი ს ი ვ ე , Геоморфологические районы Грузинской ССР. Типы рельефа и районы их распространения. М. -Л., 1947; Геоморфология Грузии, Тб., 1971; Щ у к и н И. С., Общая геоморфология, 2 изд., т. 1-3, М., 1960-74.

გ. დევდარიანი
